<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 32-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ[1]“ ქვეპუნქტი:

„გ[1]) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე“

2. 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თვითმმართველი თემის საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის, პირველი მოადგილე. ხოლო თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს ოთხი მოადგილე, მათ შორის, პირველი მოადგილე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მათ შორის, პირველ მოადგილეს) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო“.

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 37[1]-ე მუხლი:

„მუხლი 37[1]. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

1. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, კომისიის შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია.

2. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების ან მისი არყოფნის შემთხვევაში.

3. საკრებულოს კომისია უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ

ან/და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მეხუთედმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.“

4. 71-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს ოთხი მოადგილე, მათ შორის, პირველი მოადგილე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**